პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

სამოქალაქო საზოგადოება - საჯარო ადმინისტრირების რეფორმის და მომსახურებების მონიტორი

განხორციელების ვადა: 03.10.2023 - 30.04.2026

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 712 428

მთლიანი ბიუჯეტი: € 749 924

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
ASSOCIATION ANIKA

Funded by the European Union

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/AssociationAnika

პროექტის ვებსაიტები: www.anika.ge

პროექტის აღწერა:

ასოციაცია „ანიკა“ ევროკავშირის დაფინანსებითა და მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „სამოქალაქო საზოგადოება - საჯარო ადმინისტრირების რეფორმის და მომსახურებების მონიტორი“. პროექტის პარტნიორია ევროპის ფონდი. პროექტის სამიზნე არეალია: გურიის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტები.
პროექტი ეხმიანება საჯარო ადმინისტრირების რეფორმის 2023-2026 წწ სტრატეგიას და მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას საჯარო ადმინისტრირების, დეცენტრალიზაციისა და საჯარო ანგარიშვალდებულების რეფორმების მონიტორინგის განხორციელებაში ადგილობრივ დონეზე.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად სამივე სამიზნე რეგიონში განხორციელდება სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებული აქტივობები, მათ შორის:

არასახელმწიფო აქტორების მიერ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ფისკალური საკითხების და მუნიციპალური კეთილდღეობის პროგრამების მართვის თემაზე საჯარო დისკუსია-განხილვებში ჩართულობის შეფასება;

ტრენინგების სერიის მიწოდება მონიტორინგისა და საჯარო მონაწილეობის ინსტრუმენტების შესახებ;

მოსალოდნელი შედეგები:

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

1. სამ სამიზნე რეგიონში შეგროვდება და დამუშავდება ინფორმაცია ადგილობრივი საჯარო პოლიტიკის, შესყიდვების განხორციელების, ქონების მართვის/განკარგვის შესახებ, გამოვლენილი იქნება საუკეთესო პრაქტიკა და შემუშავდება რეკომენდაციები პროცესების შემდგომი დახვეწისათვის;
2. გაიზრდება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ცოდნა და უნარები, შეიცვლება მათი დამოკიდებულება საჯარო ადმინისტრირების და ანგარიშვალდებულების რეფორმების მონიტორინგის განხორციელებისადმი;
3 გაიზრდება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობები საჯარო პოლიტიკის დიალოგში ჩართვისათვის ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე;
4. გაიზრდება ადგილობრივი ხელისუფლების ცოდნა კეთილდღეობის გაუმჯობესებული მომსახურებების მიწოდების მიზნით; გაუმჯობესდება მოსახლეობისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ადგილობრივი კეთილდღეობის მომსახურებების შესახებ.